საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 19 სექტემბრის

დადგენილება №2557

ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე
შემუშავებული მოდიფიცირებული
პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დამტკიცდეს მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტორ-ტექნიკოსი“.

დადგენილებას თან ერთვის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2017 წლის 19 სექტემბრის№ 2557 დადგენილების დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

თბილისი-0175, კოსტავას ქ. №77; სტუ-ს I კორპუსი; ქალაქის ტელ.: 33-71-63; შიდა ტელ.: 62-60
E-mail: n.imnadze@gtu.ge; www.gtu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორს, არჩილ ფრანგიშვილს

ამავე უნივერსიტეტის არქიტექტურის,
ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის
დეკანის, ნინო იმნაძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 16 აგვისტოს N510 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2015 წლის 28 ივლისის N536 ბრძანებაში, რომლის თანახმადაც “არქიტექტორ-ტექნიკოსი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი დამტკიცდა ახალი რედაქციით. კერძოდ,

1. ამოღებულ იქნა III პუნქტი - „პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით“;
2. დაშვების წინაპირობიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი, რომელიც ეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს. ეს ჩანაწერი აისახა XIII პუნქტში „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის“;
3. IX პუნქტად დაემატა „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება“.
4. X პუნქტში „სტრუქტურა და მოდულები“ შეიცვალა რამდენიმე სავალდებულო ზოგადი მოდული, ზოგ მათგანს შეეცვალა კრედიტი, ზოგი საერთოდ ამოღებულ იქნა, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია მათი კრედიტების საერთო რაოდენობის შემცირება; არჩევითი პროფესიული მოდულებიდან ხუთის ნაცვლად დარჩა მხოლოდ ერთი მოდული;
5. ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა სტუდენტის მიღწევების შეფასება, რომელიც აისახა XI პუნქტში „სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება;

6. ასევე კორექტირება განიცადა პუნქტმა, რომელშიც აღწერილია „პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება“.

ამასთანავე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს N 512 ბრძანებით ცვლილებები შევიდა "პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს N733 ბრძანებაში. ცვლილებების შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულო უნდა გახდეს მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გავლის გზით. ასევე პროფესიული ტესტირების გარეშე ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიცა რეკომენდაცია, რომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თავიანთ მეოთხე და მეხუთე საფეხურის მოდულურ პროგრამებში შეიტანონ ცვლილება და გააჩინონ შემდეგი ჩანაწერი: „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ცვლილებები შევიდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „არქიტექტორ-ტექნიკოსი“.

წარმოგიდგენთ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამას „არქიტექტორ-ტექნიკოსი“ და გთხოვთ, გაიტანოთ იგი აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის დეკანი

ნინო იმნაძე
14.09.2017 წ.